



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

4 ოქტომბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №162

**ხვიჩა კილაძის, პეტრე სალუქვაძის, თეიმურაზ მოქიას და
 ავთანდილ მექვაბიშვილის პრემირების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს: ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარეს – ხვიჩა კილაძეს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს - პეტრე სალუქვაძეს, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უმრავლესობის“ თავმჯდომარეს – თეიმურაზ მოქიას და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს – ავთანდილ მექვაბიშვილს, საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი პირადი წვლილის გათვალისწინებით მიეცეთ პრემია 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი